

- **ზოგადი სამომხმარებლო ხელშეკრულება**

მნიშვნელოვანია, რომ ყურადღებით წაიკითხოთ წინამდებარე პირობები. www.jarima.ge - საიტზე წარმოდგენილი სერვისების გამოყენების პირობები რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის კანონმდებლობით.

- ❖ **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრებები.**

ცენტრი - სერვის – პროვაიდერი სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ რეჟიმში ჯარიმის ინფორმაციის მოწოდებას და საბარათე ოპერაციების განხორციელებას და ჯარიმის შესახებ სტატუსების ასახვას გადახდის შესაბამისად.

საგადახდო აგენტი - კომუნალური, სატელეფონო, სატელეკომუნიკაციო, ინტერნეტ და სხვა სახის მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციები; (ჩვენს შემთხვევაში jarima.ge)

გადახდები - კომუნალური, სატელეფონო, სატელეკომუნიკაციო, ინტერნეტ და სხვა მომსახურებისათვის სერვის-პროვაიდერის მიერ დაწესებული გადასახდელები;

აბონენტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მომსახურებას უწევს **საგადახდო აგენტი**.

აბონენტის ანგარიში - ანგარიში **საგადახდო აგენტი** (jarima.ge) საანგარიშგებო-სააღრიცხვო ელექტრონული ოთახი, სადაც თითოეული აბონენტისთვის გაწეული მომსახურებისა და შესრულებული გადახდების საფუძველზე აღირიცხება აბონენტის დავალიანებისა და ავანსის საბოლოო ნაშთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გადამხდელი - ნებისმიერი პირი, რომელიც **საგადახდო აგენტის** მეშვეობით **აბონენტის** სახელით ახორციელებს შესაბამისი **საფასურის** გადახდას;

საგადახდო დავალება - მხარეებს შორის შეთანხმებული ელექტრონული მოთხოვნა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას **საფასურის** შესახებ და წარმოადგენს გადახდის და ანგარიშსწორების განხორციელების საფუძველს.

აგენტის ანგარიში - ანგარიში **ცენტრის** სააღრიცხვო პროგრამაში, სადაც **აგენტის** მიერ შესრულებული გადახდების და საბანკო ანგარიშზე თანხის გადმორიცხვის საფუძველზე აღირიცხულია **სისტემის** საბოლოო ნაშთი და რომელზეც **აგენტის** გააჩნია სრული და მუდმივი წვდომა.

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. საგადახდო აგენტი - jarima.ge, საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით და ცენტრი - სერვის – პროვაიდერის სახელით ახდენს გადამხდელეებისაგან შესაბამისი გადახდების მიღებას, რის შესახებაც ქმნის სათანადო საგადახდო დავალებას და გადასცემს ცენტრს.
- 1.2. საგადახდო აგენტი - jarima.ge საგადახდო დავალების საფუძველზე ცენტრი აწარმოებს ანგარიშსწორებას შესაბამის სერვის-პროვაიდერთან.
- 1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება იმ სერვისებით სარგებლობა, რომელიც რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია ხელშეკრულების 1.4 პუნქტში.
- 1.4. საიტზე, ონლაინ ჯარიმის ინფორმაციის მოძიება და გადახდა შესაძლებელია საკატრულო ჯარიმების, თბილისი პარკინგის ჯარიმების, სითი პარკის ჯარიმების, თბილისი პარკინგის საშვის შექმნა.

2. საკომისიო და ანგარიშსწორების წესი

- 2.1. გადამხდო აგენტი - jarima.ge, ცენტრის საგადახდო სისტემის საშუალებით უზრუნველყოფს ონლაინ საბარათე ოპერაციების განხორციელებას.
- 2.2. ყველა წარმატებული ოპერაციისთვის გადახდაზე განისაზღვრება შესაბამისი საკომისიო, რომელიც შეთანხმებულია ხელშეკრულების საფუძველზე.
- 2.3. საკომისიო განისაზღვრება რანჟირებით. 50 ლარის და ნაკლები ინდივიდუალური ჯარიმის შემთხვევაში საკომისიო არის 1ლ - ერთი ლარი, ხოლო 50 ლარზე მეტის ინდივიდუალური ჯარიმის შემთხვევაში საკომისიო შედეგება ჯარიმის თანხის 1.5%- ით.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი გაცნობის მომენტიდან და ატარებს მუდმივ მოქმედ ხასიათს, იმ მომენტამდე, როცა სერვისი ხელმისაწვდომია და რეალურ რეჟიმში ახორციელებს ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებელთან.
- 3.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები შედის სერვისის მომწოდებლის მხრიდან ცალმხრივად.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. მხარეები პასუხისმგებელი არიან აღებული ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაზე.
- 4.2. გასწიოს მომსახურება მაღალი ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.
- 4.3. საგადახდო აგენტი ვალდებულია გასწიოს მომსახურება მის მფლობელობაში არსებული ინვენტარით და კვალიფიციური პერსონალის გამოყენებით.

- 4.4. მოხმარებელი ვალდებულია არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. კონკრეტულად არ შეეცადოს მიზანმიმართულად ხელი შეუშალოს ტექნიკურ პროცესს და ამით ისარგებლოს ფინანსური ან საბაზრო სტატუსის ღირებულების გაუფასურებით.
- 4.5. **საგადახდო აგენტმა** დაფიქსირებისთანავე აუცილებელ გონივრულ ვადაში გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ მომსახურების გაწევის პროცესში მოხმარებელს შეექმნა ამის გამო ხარვეზი და მოხმარებელის დაზარალება.
- 4.6. **საგადახდო სისტემა** მოტივირებულია მოხმარებლის მაქსიმალურ კმაყოფილებაზე.
- 4.7. **მოხმარებელი** ვალდებულია დროულად მიაწოდოს საგადახდო აგენტს ყველა ინფორმაცია, მასალა, ნივთები, თუ აღმოაჩენს, რომ სერვისს გააჩნია პრობლემა.
- 4.8. თუ **ხელშეკრულების** რომელიმე მხარეს მიადგა ზიანი მეორე მხარის (მისი წარმომადგენლის, თანამშრომლის ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირის) ბრალეული ქმედების ან **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო, ის უფლებამოსილია მოითხოვოს დანაკარგის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.9. **საგადახდო აგენტის** მხარდამჭერი გუნდი უზრუნველყოფს მიღებული საკითხის, მოხმარებლის მხრიდან დაფიქსირებული პრობლემის მაქსიმუმ 3 სამუშაო დღეში აღმოფხვრას ან უზრუნველყოს მხარეების ინტერესების დაცვით, საკითხის 3 სამუშაო დღეში გადაწყვეტა.
- 4.10. თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

4. ფორს-მაჟორი

- 4.1 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული ვითარები გამო, რომლის წინასწარ განზრახვა, აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის ან მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით
- 4.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
- 4.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

- 4.11. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.
- 4.12. დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:
 - 4.12.1. ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;
 - 4.12.2. სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.
- 4.13. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.
- 4.14. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

5. დავათა გადაწყვეტა

- 5.1. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.